ფრეიმინგის როლი კოვიდ-19-ის პანდემიის დროს პირბადეების ტარებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში

ქრისტინე ლაცუზბაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა ჩხაიძე, მოწვეული ლექტორი, დოქტორანტი

ილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომშ არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი: ქრისტინე ლაცუზბაია

თბილისი, 2021 წელი

აბსტრაქტი

კოვიდ 19-ის პანდემიას ბოლო 2 წელია მთელი მსოფლიო ებრძვის. დაავადებამ ბოლო წელიწადნახევარში ოთხ მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა მსოფლიოში, ხოლო საქართველოში 5000-ზე მეტი. საერთო ჯამში კოვიდ 19-ის 177 მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო საქართველოში კი 355 ათასი. პანდემიამ საფრთხე შეუქმნა არა მარტო ჯანმრთელობას, არამდედ სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური პრობლემებიც წარმოშვა. თემა იმდენად აქტუალურია ბოლო დროს, რომ გადავწყვიტეთ გვეკვლია თუ რა როლს თამაშობს ფრეიმინგი კოვიდ 19-ის პანდემიის დროს პირბადეების ტარებისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.ფრეიმინგის ეფექტის მიხედვით, სხვადასხვა ფორმით გამოხატული იდენტური შინაარსის სათქმელი განსხვავებულ ქცევასა და ფიქრებს იწვევს. კვლევის მიმდინარეობისას ჩავატარეთ ექსპერიმენტი, სადაც მონაწილეება მიიღო 107-მა მონაწილემ პირები კითხულობდნენ ოთხი ექსპერიმენტული მანიპულაციიდან (ფრეიმინგის ორი განსხვავებული ტიპი და ორი განსხვავებული პირბადის ტიპი) ერთ-ერთ აბზაცს პირბადეების ტარების მნიშვნელობაზე, შემდეგ კი პასუხობდნენ რამდენიმე დებულებას. მიღებული შედეგებით დავადგინეთ რომ, ფრეიმინგი მართლაც ახდენს გავლენას კოვიდ-19-ის პანდემიის დროს პირბადეების ტარების კულტურაზე. ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ კვლევის შედეგებსა და იმპლიკაციებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფრეიმინგი, პანდემია, კოვიდ 19, პირბადე, დამოკიდებულებები.

Abstract

The COVID-19 pandemic has been ongoing for almost two years now and has spread all over the world. The virus has caused under 4 million deaths worldwide and more than 5000 in Georgia. There have been 177 million registered COVID-19 cases around the world and 355 thousand in Georgia. The pandemic has negatively influenced health, social life, economic situation, psychological health, and other aspects of everyday life. COVID-19 poses a serious threat to the whole world. In the proposed study, we aim to explore the role of framing in forming attitudes towards COVID-19, specifically, safety measures such as wearing masks. According to the framing effect, people's thoughts and behaviors can change depending on how information is presented. 107 participants took part in our experiment. The participants read one of the four experimental passages about the importance of wearing masks during the COVID-19 pandemic. We manipulated the framing and mask types across these four experimental conditions. The results show that framing influenced people's attitudes towards wearing masks. In the following paper, we discuss our results and implications in detail.

Keywords: framing, pandemic, Covid-19, protection, attitudes